ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი, 28 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

 გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 470 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 470

## ქალაქის თეატრი

**დღეს, პარასკევს, 28 ოქტომბერს გაიმართება პირველად ქუთაისში ცნობილი**

## დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკოშა

## კ. ფოცხვერაშვილისა

**სიტყვის თემა:** „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნქტი".

**სამუსიკო განყოფილებაში:** საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.

გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული **სიმფონიური პოემა** „თ ქ მ უ ლ ე ბ ა ა მ ი რ ა ნ ზ ე" კ. ფოცხვერაშვილისა.

**ცალკე აფიშები არ გამოვა.**

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვადასხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს; **„ჩონგურულს", „მესტვირულს", „ლილის", „ჭეფხის ტყაოსნის შაირს"** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.

ბილეთები იყიდება მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზებში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

---

თავადი ნესტორ ივანეს ძე ერისთავი და მეუღლე მისი კნეინა ელენე ბეგლარ ნიჟარაძის ასული ერისთავისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელის შვილის

### თ-დის ბაბილიონ ნესტორის ძის

## ერისთავის

უდროოდ გარდაცვალებას, რაიცა მოხდა ოთხშაბათს 26 ოქტომბერს. დაკრძალვა დანიშნულია შაბათს 29 ოქტომბერს ნაშუადღევის სამ საათზე 2—1

---

## ელექტრო „ამპირ" თეატრი

**ორშაბათიდან 24 ოქტომბრიდან 1916 წ. დიდებული სურათი რუსთა ცხოვრებიდან 2 ნაწილათ**

პირველი სერია

### ქ ო რ ი ს ბ უ დ ე

**დიდათ საინტერესო დრამა 4 ნაწილათ ა. პ. პაზუხინის ცნობილ რომანიდან ცნობილ მსახიობთა ლისენკოს, კარემანოვის, რიმსკის, ჯანოვის და სხვათა მონაწილეობით**

მიმიკრია მწერთა შორის

**ა ნ ო ნ ს ი:** 27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა ქრონიკა ჯომონი მიმდინარე ამბებიდან

ქ ე ბ ა ს ი გ ი ქ ე ს კინო დრამა 5 ნაწილად ცნობილ არტისტების მარიამ რუტცის და ნ. წერეთლის მონაწილეობით

---

**ექიმი** ი. **ჩარქვიანი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლვოვსკის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ზოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ც-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. ω.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

### მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო უვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: ლადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

---

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**დოქტორი მედიცინისა**

### დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ლეჩულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

---

**დავკარგე პასპორტი**

უვადო სოფელ ტყიბულში **სპირიდონ მარკოზის ძე ბოჭორიშვილის სახელზე**

მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს სოფელ ტყიბულში **მიხეილ კბილაძის** სახელზე რისთვისაც მესაფერ ჯილდოს მიიღებს.

---

## გაზ. „სამშობლოს" კანტორა

### აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიათ არა აქვს ხვედრი ფული შემოტანილი 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

---

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 24 ოქტომბრიდან 1916 წ. ნამდვილი შედევრი

### ა დ ა მ ი ა ნ თ ა უ ფ ს კ რ უ ლ ი

დრამა 5 ნაწილად საიმპერატორო თეატრის მსახიობთა ვ. ა. პოლონსკის, ა. ი. შლენიიკოვის და სხვათა მონაწილეობით. დადგმულია ბაუერის მიერ.

### ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა მ ე ფ ო

**ა ნ ო ნ ს ი:** 27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა ქრონიკა ჯომონი მიმდინარე ამბებიდან

**სხვისი ცოდვებისათვის** ძლიერი დრამა 4 ნაწილად ეპილოგით მსახიობ ქალის თინა ფებრის მონაწ.

დ ა ბ წ ე ნ ა რ ე ს დ ე დ ა მ თ ი ლ ი
კომიკური.

---

## ს ა ხ ა ლ ხ ო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 13.

შ ა ბ ა თ ი, 29 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი 1916 წ.

# ქრისტინე

დრამა 4 მოქ. **ნინოშვილის** მოთხრობიდან გადმოკეთებული ირეთელის მიერ

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., გორდელი ქს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან.,
ბ-ნი ბეგლარიძეპ., გელოვანი მ. გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგი წევრი გამგეობისა ქ-ნ მ. ლორთქიფ ნიძისა

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება**

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 26 ოქტომბერი. მდ. სტოხოდზე სოფ. სიტოვიჩისა და ოსტრობოლოსის ახალშენის ახლო-მახლო გერმანელებმა სცადეს ჩვენ პოზიციებს დაახლოვებოდნენ, მაგრამ სროლით განვდევნეთ. ტყიან კარპატებში ტარტაროვის დასავლეთით ჩვენ საფრენს მტრის საფრენთან ბრძოლა მოუხდა. ჩვენი საფრენი ძირს ჩამოაგდეს და მფრინავი პრაპ. ლაგუტენკო დაიღუპა. მხვერავი უნტერაფიცრის ვაიცმანის მდგომარეობაც უიმედოა. დორნა ვატრის სამხრეთით და მუნტელუს მთის სამხრეთით და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია და მდ. ბასტერცეს ველზე ბემბორ-ხოლოოს ხაზს მიაღწია.

**კავკასიის ასპარეზი.**

ოგნოტის მიმართულებით ოსმალთა ერთმა ბატალიონმა შემოგვიტია, მაგრამ სროლით უკუ ვაქციეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 25 ოქტომბერი. შუადღის ცნობა საფრანგეთიდან. 24 ოქტომბერს ღამე ვარლანკურის ბორცვის ახლოს მოწინაალმდეგემ მედგარი კონტრიერიში მოიტანა და უკან დაგვახევინა. ლებევჟის აღმოსავლეთით დაჭერილი ადგილები გავამაგრეთ. არმანტერსა, იპრსა და არრასთან მტერს მარჯვედ თავს ვესხმოდით.

**ლონდონი** 25 ოქტომბერი. საღამოს ცნობა საფრანგეთიდან. 24 ოქტომბერს ანკრ-სომმას ხაზზე ლების, ლებევჟისა და ლეზარის მიდამოებში გერმანელებმა ინგლისელებს ზარბაზნების მკაცრი სროლა აუტეხეს. ჩვენ მარჯვენა ფრთაზე წინა დღეს რომ ადგილები დავიპყრეთ, ვამაგრებდით. არმანტიერის სამხრეთ ბრიტანელთა საველე და სასანგრო ზარბაზნები გერმანელთა თხრილებს მარჯვედ უშენდენ. გუშინ თუმცა ქარიშხალი იყო, მაგრამ ჩვენმა საჰაერო ფლოტმა 8 საათი დაჰყო ჰაერში და არტილერიისათვის დაზვერვას ახდენდა.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი** 25 ოქტომბერი. კონჩენთან (ლედრის ველზე) მტრის რაზმა მოწინავე პოზიციაზე იერიში მოიტანა, დაზარალებული მტერი უკუ ვაქციეთ. ასტიკოს ველზე და აზიაგოს ვაკე გორაკზე მოწინააღმდეგის არტილერია, მძლავრად მოქმედებდა, ჩვენი ბატარეები მარჯვედ უპასუხებდნენ. 22 ოქტომბ. ღამე დუკოტიცის მიმართულებით მტერმა იერიში მოიტანა ჩვენზე, მაგრამ ხიშტებით მოვიგერიეთ. გუშინ საარტილერიო ბრძოლა მოხდა; კასანიავიცეს სიმაგრეებს ჩვენ ზარბაზნები დავუშინეთ, ქვეითა, ჯარმა წინ წაიწია და ბრძოლის ხაზი გაასწორა, ჩვენ დავატყვევეთ 50 კაცი, ტრუსტ-ოპჩინას რკინის გზის ლიანდაგზე დიდი მოძრაობა შევნიშნეთ.

გუშინ მტრის ერთი ცეცხლ მოკიდებული საფრენი ძირს ჩამოვარდა.

**რუმინიის ასპარეზი**

**პეტროგრადი.** 26 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. ტრანსილვანია. პრედეალისა და ოლტის (ალიუტის?) მიმართულებით მოწინააღმდეგეს იერიშები მოაქვს. მდ. ჟიუს ველის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგეს შეშველი ჯარი მოუვიდა და შეტევა იწყო დუნაის ბრძოლის პირი. საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**მაკედონიის ასპარეზი.**

**სოლუნი.** 24 ოქტომბერი. სერბეთის ოფიციალი. ბრძოლის პირზე ჩლირს შესანიშნავი არა მომხდარა რა. ორივე მხრით ზარბაზნების უმნიშვნელო სროლა სწარმოებს.

**პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა.**

პოლონური გაზეთი „ძენნიკ კიევსკი" სწერს: პოლონეთის დანაწილების შემდეგ ეს მესამე ცდაა პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიმართული. გერმანელებმა პირ მოთნეობის მანქანა მძლავრად აამუშავეს იმ ინტერესებისათვის, რომლებსაც პოლონეთთან არავითარი საერთო არა აქვს. ჩვენი მომავლის ქარტისათვის გამარჯვებულის ალმა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** სტოხოდზე რუსებმა გერმანელთა იერიში მოიგერიეს. დორნავატრას სამხრეთით რუსებმა წინ წაიწიეს. ტყიან კარპატებში რუსების საფრენი დაიღუპა.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტის მიმართულებით რუსებმა ოსმალთა შემოტევა შეაჩერეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ვარლანკურის ბორცვთან გერმანელებმა ინგლისელებს უკან ხაახევინეს. ინგლისელთა ბრძოლის პირზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ასპარეზზე სიწყნარეა.

**იტალიის ასპარეზი.** მცირე შეტაკებანი და ზარბაზნების ბრძოლაა.

**რუმინიის ასპარეზი.** პრედეალისა და ოლიტეს მიმართულებით ავსტრიელებს იერიშები მიაქვს. მდ. ჟიუს აღმოსავლეთით ავსტრიელებმა შეტევა განაახლეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**ზღვაზე.** ფრანგული სავაჭრო გემი „არაშია“ გერმანელთა წყალქვეშამ ჩაღუპა.

სია საჭირო; თუმც გერმანელებმა დროებითი უპირატესობა გამოიყენეს და პოლონეთის მომავალ მოწყობის საკითხს შუღლის შხამი შეურიეს. ჩვენ არამც თუ გვჯერა არამედ დარწმუნებულიც ვართ, რომ პოლონელები არავითარ შემთხვევაში თავის ნებით მოკავშირეთა წინააღმდეგ არ გაილაშქრებენ. (პ. დ. ს.)

რუსულ-სლავიანურ კავშირსა და სლავიანთა კომიტეტი იწვევს კრილობას, რომელმაც გერმანეთის მიერ დაპყრობილ პოლონეთის განთავისუფლების აქტის გამო პროტესტი უნდა შეადგინოს. ეს პროტესტი შემდეგ ყველა ნეიტრალ სახელმწიფოებს და ზავისათვის მოღვაწე სლავიანებს დაეგზავნებათ.

**ზ ღ ვ ა ზ ე.**

**პარიზი** 25 ოქტომბერი. საფოსტო გემი „არაბია“ გერმანელთა წყალქვეშამ **ჩასძირა** გემზე მყოფი 450 მგზავრი, როგორც ხმა დადის, გადაურჩენიათ.

## ქურნალ-გაზეთებიდან.

„რუსკი ვედომოსტს“ სევასტოპოლიდან ატყობინებენ: შავი ზღვის ჩვენ სამხედრო ფლოტს რუმინიის ნავთსადგურ კონსტანცისთვის დიდი სროლა გაუმართავს. სროლას ნავთის ცისტერნების აფეთქაა და ცეცხლი მოყოლია და მტრის ბანაკში დიდი არევდარევა გამოუწვევია.

—

კოპენჰაგენიდან „რუს. ვედომ.“ სწერენ: ამერიკაში სავაჭრო წყალ ქვეშა ნავი „დოტშლანდი“ მისულა და 750 ტონი საღებავი და ქიმიური ნაწარმოები მიუტანია. გერმანიის წარმომადგენელს ამერიკის მთავრობისათვის წინადადება მიუცია ამ გემით გერმანიაში ფოსტა გაგზავნონ. ამბობენ წინადადება მიღებული იქნებაო.

—

იმავ გაზეთს ატყობინებენ, რომ წყალქვეშა ნავი „დოიტშლანდი“ ჩრდილოეთ ზღვაში ინგლისის ფლოტს წასწყდომია და დაღუპისაგან თავის სახსნელად ათი საათის განმავლობაში ზღვის პირზე არ გამოჩენილა.

—

„ბირჟევია. ვედომოსტი“ იტყობინება, რომ ამ დღეებში ადგილას, პირეის ახლოს, გერმანიის წყალქვეშა ნავმა მეორე საბერძნეთის გემი „კილი-ისაია დაღუპაო.

—

„რუსკია ვედომოსტი“ სწერს. ოფიციალურათ დადასტურებულია, რომ საბერძნეთის გემები „ანგელიკა“ და "კილი-ისაია" მტრის ასაფეთქებელი საშვალებით დაღუპულა.

—

ბუქარესტიდან "რან. უტროს" ატყობინებენ; ქალაქიდან დიდძალი ხალხის გასვლის შემდეგ იქაურობას დიდი სიწყნარე ეტყობაო.

—

ჰუმანიტატე სწერს ფორტი „ვოს“ აღებას გერმანიაში დიდი შთაბეჭდილობა მოუხდენია. ამბობენ, რომ ვერდენის ბრძოლაში თავი მნიშვნელობა „ვოს“ და „დუომნოს“ ქონდაო.

## სამხედრო მიმოხილვა.

ეს უკვე ერთი კვირა იქნება, რაც საყურადღებო არც ერთ ასპარეზზე არა მომხდარარა. ერთი კვირის წინად ფრანგებმა მაასის მარჯვენა პირზე წინ წაიწიეს და ის იყო და ის, ბრძოლები ყველგან შესწყდა, მხოლოდ აღმოსავლეთით მდ. სტოხოდზე და დორნავატრასთან სწარმოებდა რამდენიმე ხანი ბრძოლები, ისიც მალე შესწყდა.

რუმინიის საზღვრებზე, როგორც ეს აღნიშნული გვქონდა გერმანელები დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ბალკანეთის ყელი საზრთხეს გადაარჩინეს და შესუსტეს მოქმედება. გუშინდელმა დეპეშამ ცნობა მოგვიტანა, რომ ჟიუს ველზე ავსტრიელებს შეტევა გაუახლებიათ; ამ შეტევას არავითარი დიდი მიზანი და აზრი არ უნდა ჰქონდეს.

ჟიუს ველი დაშორებულია რუმინიისათვის საშიშ პუნქტებს და ამიტომ არა გვგონია, რომ ავსტრიელებმა აქ დიდ ხანს აწარმოვონ. ავსტრიელების ჟიუს ველზე მოქმედება მხოლოდ პასუხია იმ აქტივობისა, რომელიც რუმინელებმა საერთოდ ფალკენ-ჰაინის ჯარის წინააღმდეგ გამოიჩინეს.

საეროდ ყველა ასპარეზებზე ბრძოლის მინელების მიზეზი ის არის, რომ უკვე ზამთარი მიახლოვდა და საზაფხულო პირობებში ბრძოლა ჯარს აღარ შეუძლია, საჭიროა თბილი ტანისამოსი და ახალ პოზიციებთან თბილი სადგომების გაკეთება.

ჯარის ზურგის უკან დიდ მოძრაობას ეს გარემოება უფრო ართულებს და აძნელებს და ამავე პირობებში რაიმე სერიოზულ ოპერაციის წარმოება სახიფათო იქნებოდა.

რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს საროთო სიწყნარე ძნელი სათქმელია მაგრამ ვიდრე ზამთრის ბრძოლებისათვის არ მოემზადება ჯარი მას დიდი ბრძოლებისათვის არ გაგზავნიან წინ ხოლო ვიდრე ეს დასრულდებოდეს ჯარის ზურგით მოძრაობის ახალი გადაჯგუფების დასაფარავად ორივე მხარე მცირე ბრძოლებს და სარტილერიო ბრძოლებს აწარმოებს.

შვერლი.

## ქ. ქუთაისი, 28 ოქტომბერი.

**ისევ შინაურ საქმეებზე.**

ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია მკითხველების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ გარეგნულად,—ასე ვსთქვათ,—სხვის დასანახველად,—ყველაფერი ჩვენში თითქოს მოწყობილია,'' უკვე შევმდგარვართ გაევროპიელების გზაზე და სხვა დაწინაურებულ ერებთან ერთად მზადა ვართ ვემსახუროთ არამც თუ ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ კაცობრიობასაც კი.

მაგალითად, დღეს ვინ აღარ იცის, რომ ჩვენებური სოციალდემოკრატები უუკიდურესნი არიან მთელის ქვეყნის სოციალდემოკრატთა შორის;

დღეს ვინ აღარ იცის, რომ ჩვენებურ ფედერალისტებს თავისი თავი მხსნელად მოაქვთ არა მარტო ჩვენის ქვეყნისა, არამედ რუსეთის ყველა დაჩაგრულ ერებისაც;

დღეს ვინ აღარ იცის, რომ ჩვენებური ნაციონალ დემოკრატები მზად არიან მტლად დაედონ თავის სამშობლოს და ყოველივე შესწირონ თავის ქვეყნის კეთილდღეობას,

მაგრამ ყველა ეს სიტყვით უფრო ხდება, ყველა ეს მოჩვენება უფროა, ვიდრე სინამდვილე!'

ჩვენ ვიცით და დარწმუნებულიცა ვართ, რომ თითო-ოროლა თითოეულ დასახელებულ პარტიიდან ზედმიწევნით თავგამოდებული და იდეურად გამობრძმედილია, ვიცით, რომ მათის უანგარო, თავდადებულ მუშაკობის ბრალია, რომ ამა თუ იმ მიმართულებას თავისი მიმდევრები ჰყავს; ჩვენ ვიცით და დარწმუნებულიცა ვართ, რომ თითოოროლა თითოეულ დასახელებულ პარტიიდან სიკვდილის კარამდე წმინდად ემსახურება თავის იდეალს და მისგან განვლილი გზა, გზა ნათელი და უმწიკვლო ბევრს სხვას გაუადვილებს სიარულს ამ უკუღმართ წუთის სოფელში,

მაგრამ თუ შევაფასებთ, ავწონ—დავწონავთ და განვსჯით თითოეულ პარტიას მთლიანად, ერთობლივ, ინ კორპორე, დავინახავთ რომ ბევრი, ძლიერ ბევრი ტყვილად ეტმასნება ამა თუ იმ პარტიას და სარგებლობს რა ამა თუ იმ დასის სახელმოძღვრებით, თავის პირად საქმეების მოწყობას უფრო ესწრაფება, ვიდრე თავის დასისა თუ ჯგუფის გაძლიერებასა და იდეურად განმტკიცებას.

პირველ ყოვლის ესა თუ ის ჯგუფი იმიტომ კი არ უნდა ჯგუფობდეს, რომ იბატონოს და იფაფხუროს, უნდა ჯგუფობდეს იმიტომ, რომ შეჰქმნას ისეთი პირობები ცხოვრებისა, რომელი პირობებიც თითოეულ პიროვნებას საშუალებას მისცემენ იყოს იგი ღირსეული წევრი საზოგადოების, იყოს ღირსეული წევრი, ღირსეული მოქალაქე თავის ქვეყნისა და თავისი ერისა.

ამა თუ იმ ჯგუფის ცდა ის კია არ უნდა იყოს, რომ გათიშოს და გააბოროტოს პიროვნება, არამედ ესა თუ ის ჯგუფი, ესა თუ ის პარტია უნდა ცდილობდეს თითოეული ჩვენთაგანის ამაღლებას გონებრივათა და ზნეობრივად, უნდა შეჰქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა ტვირთ მძიმესა და დამაშვრალს შეეძლოს სულის მობრუნება, დახმარების მიღება, განსპეტაკება აზრითა და ფიქრით;—შეეძლოს თამამად, მოურიდებლად დაგმობა ავისა და მხარის დაჭერა კარგისა, რომელი ჯგუფისა, თუ პარტიის ჩანადენილ არ უნდა იყოს ეს კარგი.

ერთის სიტყვით, ჩვენა გვგონია, რომ ესა თუ ის ჯგუფი ან პარტია უნდა არსებობდეს დუხჭირ ცხოვრებასთან საბრძოლველად, უნდა არსებობდეს სიყალბისა და შენ ჩემობის დასამხობად. უნდა არსებობდეს ქვეყნისა და ხალხის გამოსაფხიზლებლად, პიროვნების გასაადამიანებლათა და ყოველ გვარ სოციალურ თავისუფლების განსახორციელებლად!..

უამისოდ, ერთი გვიბრძანეთ, რაა ან ბრძოლა და ან მოძღვრება, თუ კი ჩვენ მარტო ჩვენს გაბატონებაზე ვიზრუნებთ და კაცს, ადამიანს გასაქანს არ მივცემთ!..,

ჩვენში კი სწორედ ასეა!

თუ ღმერთი გაგიწყრა [illegible] ლი ყმა არ გახდი [illegible] მისის მეთაურისა თუ [illegible] ან გონზრახე კრიტიკა თავისუფალი და მიუდგომელი,—ანძაზე ჩამოგკიდებენ და ერთის შემოტევით გაგანადგურებენ...

ვინც კი იცნობს ჩვენებურ ჯგუფების ცხოვრებას და პარტიულ ნიადაგზე მუშაობას ის დაგვეთანხმება, რომ ჩვენ ტყუილს არ ვამბობთ.

არც ერთი პარტია, არც ერთი ჩვენში არსებული ჯგუფი ნებას არ აძლევს თავის წევრებს სთქვას ის, რასაც ჰფიქრობს და მოიქცეს ისე, როგორც ეს მას საჭიროდ მიაჩია. „პარტიულ დისციპლინას“ ეწირება თავისუფლება აზრისა და სიტყვისა!...

ჩვენ თითქმის სათითაოდ ვიცნობთ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს, ვიცით, რომ ჩვენზე კარგი მამულიშვილები არიან, ვიცით რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, პირველი ისინი გავლენ ბრძოლის ველად ეროვნულ ღირებულებათა დასაცავად, მაგრამ „პარტიულმა ტაქტიკამ“ ისე გადიყოლია, ისე დაიმონა იგინი, რომ დღეს ბევრი ქართველი მათ გულწრფელადა სთვლის სამშობლოს მოღალატეთ,—ხოლო შინაურ პარტიულ ცხოვრებაში ბევრი მათგანი ბოროტად სარგებლობს პარტიის სახელით.

ჩვენ თითქმის სათითაოდ ვიცნობთ ჩვენებურ ფედერალისტებსაც, ვიცით რომ იგინი პირმშო შვილნი არიან ჩვენის თავად-აზნაურობისა, მათგან აღზრდილნი და გამოკვებილნი, მათის შრომითა და მონაგარით ზურგ გამაგრებულნი, მათ მიერ დაარსებულ ორგანოებით სახელ მოხვეჭილნი, მაგრამ „პარტიულის მოსაზრებით“ დღეს ესენი პირში აფურთხებენ თავის მშობლებს და დასცინიან მათ.

ჩვენ ვამტკიცებთ; ერთ მშვენიერ დღეს რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავის დაწესებულებებიდან გამოდევნოს ჩვენებური ფედერალისტები, რამდენიმე კვირის შემდეგ მათი სახსენებელიც აღარ იქნება, ხოლო მათი „სოციალიზმი“ ისე გაჰქრება, როგორც შარშანდელი თოვლი, ვინაიდგან თვით მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა არა სოციალისტურია.

რაც შეეხება ჩვენებურ ნაციონალ დემოკრატებს, მათი ყოფნაც ვერ არის სახარბიელო, ვინაიდგან ჯერ ერთი, რომ ვერ შეჯგუფულან სათანადოთ და ჯერ არც იმდენი ძალა აქვთ, რომ ქვეყნის საქმეებს სათავეში ჩაუდგენ..

ამ გვარად ქართველი ხალხის ხელმძღვანელები გათავთავებულნი არიან და ხალხი, თვით ქართველი ხალხი თითქმის უპატრონოდ არის დარჩენილი.

ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც,

## მწუხრის დროს.

ოხ, როგორ დაიღალა ეს დღევანდელი დღე შრომისა!. როგორ მიიქანცა!... შუჩად დგანან სენი მწუხრის საათს, მოწყენის საათს. აგერ ეზოს შუა გულში კაკლის ხეს გაუშლია ფართე ქოლგა თავისს დახლართულ ტოტებისა და ყურს მწუხრის ჟამს ეზოს გალავანთან ჩამწკრივებულნი ალვის ხენი უძრავათ სდგანან თავიანთ ასუდრულ წვრწეტა ტანებით და ჩვეულებრივ არ ჩურჩულებენ უცხო შრიალი უცხო ზღაპრებსა, არ ფსფუსობენ მათ აქითაც მოსჩანან სხვანი ხენი და სდუმან ყველანი, მოწნით სდგანან მწუხრის ჟამს ალბათ. ლოცვად არიან ხენი... რა სიყუჩეა, სოფლად,—არა ხმა!

ლოცვად სდგას დაღლილი სოფელი ამ მწუხრის ჟამს.

და დაქანცული დღე შრომისა, დღე ჯაპან წყვეტის დღე ათასგვარ გაჭირვებისა, მუხლ მოდრეკილი დაკარდნილა დასავლეთ კართან და ხელებ აპყრობით ლოცულობს ამ მწუხრის ჟამს ლამპრად მზე უნთია, მზე დაღლილი მილეული. და წითელ კვამლით ილულება დასავლეთის თაღი, იწვის სისხლის ზეთად ცის ლამპარი და გულ ჩათხრებით ლოცულობს დღე დაღლილი, დღე წამებული, ქანც მილეული...

— მას სურს, რომ იქნეს ხვალინდელი დღე!..

ჩუ! მოისმა შორეულ მონასტრის ზართა წკრიალი: იქაც ლოცვად არიან...

მე ჯერ არ ამიგია ჩემი ტაძარი და არც მილოცნია მხურვალე ლოცვით. მაგრამ უტაძროთ არ მაქვს ნება რომ ვილოცო!? ამ ქანც მილეულს ყურს და მოწყენილს ჟამსა მწუხრისას ჩემშიდაც იძვრის უცხო სიმები .. უნდა ვილოცო...

ზურგი ვაქციე დასავლეთის კარს, საიდაც სისხლის ზეთად იწვის მზე და მისს ზევით ალივლივებულ ცის სილურჯეს ტალახის შხეფივით აკვრია ღრუბელთა ნაფლეთები და მივაპყარ თვალნი აღმოსავლეთსა სადაც სილურჯე ცისა დაბნელებულავით ყურ ტბის გული საღამო ჟამს .. ლოცვად ვარ მეცა.

ზურგს უკან იწვის სისხლის ზეთად მზე ჩამავალი და მისს წინ მუხლ—მოდრეკილი ლოცულობს მწუხრი, ქანც მილეული:

მას სურს, რომ იქნეს ხვალინდელი დღეც!

— და რომ სხვანაირი იქნეს ის! აგრე მსურს, აგრე ვლოცულობ მე.

ან კახელი.

## მსოფლიოს ერთობა.

**არაორგანიული ბუნების ერთობა.**

(იხ. „სამშობლო“ № 468).

განვიხილოთ მენდელეევის კლასიფიკაცია, ანუ ელემენტების დაწყობა, დალაგება, ახლანდელი თვალთახედვის შესაფერად შეცვლილი.

დავალაგოთ ელემენტები ლითონ ლიტიდან, რომლის ატომის წონა შვიდჯერ მეტია, ვიდრე წყალბადის ატომისა, ურანამდის (ატომის წონა=238 5) მათი ატომების წონის თანდათანობითი მომატების მიხედვით. მაშინ შევაჩნევთ შემდეგს. ელემენტების ასე დალაგებული წყება—რამდენსამე მწკრივად, ან პერიოდად, განიყოფება. თვითეულ მწკრივში, ან პერიოდში, პირველი ელემენტია ლითონი, უკანასკნელი ელემენტი კი—არა ლითონი, ეგრეთწოდებული გალოიდი. იმავე დროს თვითეულსავე პერიოდში, ანუ მწკრივში, წინამორბედი ელემენტები უფრო ენერგიულად, ძლიერ მოქმედი არიან, ვიდრე შემდეგნი,. თანმიმდევნებითნი. მაგრამ მწკრივის შუაგულიდან, პირიქით, ელემენტების ძლითი, პოტენციური, ქიმიური ენერგია თანდათან მატულობს.

ავიღოთ, მაგალითად, პირველი მწკრივი: ლიტი (ატომის წონა 7), ბერილი (ატომის წონა 9), ბორი (ატომის წონა 11), ნახშირ-ბადი (ატომის წონა 12), აზოტი (ატომის წონა 14), ჟანგბადი (ატომის წონა 16) და ფტორი (ატომის წონა (19).

ლიტი და ბერილი ლითონები არიან. ბორი უკვე არა-ლითონი, თუმცა ლითონ ალუმინის მსგავსი, ე. ი. გარდამავალ ხიდს წარმოადგენს ლითონებსა და არა ლითონებსა, ანუ მეტალოიდებს, შორის. ნახშირბადი, აზოტი, ჟანგბადი არა-ლითონები, ე. ი. მეტალოიდები, არიან, ფტორი გალოიდია.

რაც შეეხება ქიმიურ ენერგიას, ლითონებში ლიტის პირველი ადგილი უჭირავს, შემდეგ ბერილის. მეტალოიდებში ყველაზე უფრო სუსტია ბორი, ყველაზე უფრო ენერგიულია. ჟანგბადი. ფტორი ძლიერ ენერგიული ელემენტია. ბევრი სხვა თანმიდევნებითი თვისებანიც მოეპოებათ, როგორც ლითონებს, აგრეთვე არა-ლითონებს.

აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს ამ პირველ მწკრივში, ანუ პერიოდში, ლითონი ცოტაა, არალითონი—კი ბევრი.

მეორე მწკრივი შეიცავს: ნატრს (ატომის წონა 23), მაგნის (ატომის წონა 24,4), ალუმინის (ატომის წონა 27) კაჟისბადას (ატომის წონა 28,4), ფოსფორს (ატომის წონა 31)და ქლორს (ატომის წონა 35,5).

აქაც ნატრი, მაგნი და ალუმინი ლითონები არიან, კაჟისბადა (სილიცი) და ფოსფორი მეტალოიები, ქლორი—გალოიდი. იმავე დროს ნატრი უფრო ენერგიულია მაგნიზე, მაგნი უფრო ენერგიულია ალუმინიზე; მეორე მხრით, ქიმიურად ფოსფორი უფრო ენერგიულია კაჟისბადაზე და ქლორი ძლიერ ენერგიული, აქტივური გალოიდია. სხვა თვისებებზე აქ არ შევჩერდები.

მესამე მწკრივში არიან: კალი (ატომის წონა 39), კალცი (ატომის წონა 40), სკანდი (ატომის წონა 44), ტიტანი (ატომის წონა 48), ვანადი (51), ქრომი (ატომის წონა 52), მანგანუმ (ატომის წონა 55), რკინა (ატომის წონა 56,9), კობალტი (ატომის წონა 59), ნიკკელი (ატომის წონა 58,7), სპილენძი (ატომის წონა 63,6), ცინკი (ატომის წონა 65,4), გალი (ატომის წონა 70), გერმანი (ატომის წონა 72,5), თაგვის მარილი (ატომის წონა 75), სელენი (ატომის წონა 79,2), ბრომი (ატომის წონა 80).

ამ მწკრივში ყველა ელემენტი გერმანიმდის—ლითონებია. მაგრამ ლითონის თვისებანი კალიდან გერმანამდის თანდათან კლებულობს; იმავე დროს თანდათან მატულობს ატომის წონაც. თაგვის მარილი და სელენი —არალითონები, ანუ მეტალოიდები, არიან; და მათი თვისებანი, როგორც მეტალოიდებისა, ატომის წონის მომატებისადაგვარად თანდათან მატულობს. ბრომი ენერგიული გალოიდია. ამას გარდა კალი წყალში იჭერს წყალბადის ადგილსა და წყლის ნაშთთან ძლიერ სიტუტესა ქმნის (KHo); ელემენტი კალციც წარმოშობს სიტუტეს წყალთან, მაგრამ მისი სიტუტე უფრო სუსტია Ca (Ho) 2. შემდეგ ელემენტებს თანდათან აკლდებათ სატუტის წარმომშობი თვისებანი და, მაგალითად, ვანადი, ერთსადაიმავე დროს სიტუტესაც წარმოშობს და სიმჟავეებსაც (სიმჟავეებს წარმოშობენ არალითონები წყლის საშუალობით ისე, როგორც ლითონები სიტუტეებს წყლისავე საშუალობით).

ქრომი წარმოშობს ჟანგ-ბადასთან ერთად ქრომის სიმჟავის ბადას ($CrO_3$) და ქრომის სიმჟავეს ($Cr0_3+H_2O=H_2O=H_2 CrO_4$). იმავე დროს ქრომი წარმოშობს ქრომის სიტუტის ბადას (Cr0), რომელიც, უერთდება რა წყალს, წარმოშობს ქრომის სიტუტეს ($Cr+H_2O=$

რომ ქართველი ერი მოკლებულია ყოველ-გვარ თვით მოქმედებას და ამიტომაც იგი დღეს ვერა დგას სათანადო ნიადაგზე და ხშირად სხვის დასაცინიც ხდება..

მაშ, რა გვიშველის და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად?

აი ის საკითხი, რომელიც უნდა აფიქრებდეს ყოველ ქართველს განურჩევლად მიმართულებისა...

## შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნები.

ჩრდილო ამერიკის შტატების პრეზიდენტის არჩევნებს არასდროს არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორც დღეს, ამ ომის განმავლობაში ამერიკა ხშირად გამოსულა მსაჯულად ორი მოპირდაპირეთა შორის და თავისი გადამწყვეტი სიტყვა უთქვამს.

ამერიკა, როგორც ვიწყით ფრიად ჭრელი შემადგენლობის სახელმწიფოა, ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი მოიპოვება შტატებში, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანნი ინგლისელები არიან, უფრო გავრცელებულია ინგლისური ენა და გასაკვირველი არ არის, რომ, სწორედ მიტომ შტატების თანაგრძობა და სიმპატიები ერთიანად მოკავშირეთ ეკუთვნით.

ეს თანაგრძობა იქამდის მივიდა, რომ ამერიკამ საერთაშორისო უფლების ნორმები დაარღვია და დიდი დახმარება გაუწია მოკავშირეებს ფულით თუ იარაღით.

იმ ოცმა მილიონმა გერმანელებმაც, რომელნიც ამერიკაში სცხოვრობენ, ვერა გააწყვეს რა შტატების მთავრობასთან და მოკავშირეთათვის დახმარების მიცემა ვერ შეაწყვეტინეს.

ამერიკა სხვა მიზეზითაც მიემხრო მოკავშირეებს: ომამდე მსოფლიო ბაზარზე ორი ქვეყნის კომივოიაჟორები ცდილობდა ორი ქვეყნის ვაჭრობა ეცილებოდნენ ერთმანეთს, ერთი მეორეს. ამერიკას მხოლოდ ერთი მეტოქე დარჩა წინ წასული და ლამის დამარცხდეს ამ ბრძოლაში. ეს მეტოქე გერმანიაა.

გასაკვირველი არა არის, რომ ამერიკამ მოკავშირეების ხელით თავის მეტოქისა და მსოფლიო ბაზრის მოცილეს შესუსტება იაზრა.

რამდენად ძლიერი იყო ეს ქიშპი და რამდენად გერმანიის დასუსტების სურვილი მტკიცე გამოდგა შორეულ რესპუბლიკის მესვეურებში, იქიდანაც სჩანს, რომ ამერიკამ დაივიწყა თავის მოსისხლე მტრის იაპონიის პოლიტიკური სარმები და მოკავშირეთა დახმარებაში მას გაუამხანავდა, ოღონდ კი გერმანია დასუსტებულიყო.

ასეთი პოლიტიკის წყალობით ამერიკამ ორი ერთი და იმავე ჯიშის კურდღელი დაიჭირა;

მსოფლიო ბაზარს თავის საქონელი მოსდო და მეორის მხრით მოკავშირეთა მიერ შეკვეთილ დიდი ძალი იარაღისა და სხვადასხვა საჭირო მასალის დამზადებაში ბევრი ფული მიიღო. ამან საარაკოდ გაამდიდრა ამერიკა და იყო შემთხვევა, როცა რომელიმე სააქციო სასოგადოების წლიური შემოსავალი ძირითად თანხას ორჯერ აღემატებოდა.

ამნაირად ამერიკა მდიდრდებოდა და იმავე დროს კეთილშობილ მსაჯულად გამოდიოდა მებრძოლთა შორის; მისთვის ხშირად მიუმართავს ამა თუ იმ მებრძოლ მხარეს, მოწინაამდეგემ საერთაშორისო უფლება დაარღვიაო, და ამერიკაც ხან ერთს განუცხადებდა პროტესტს და ხან მეორეს.

რესპუბლიკა მდიდრდებოდა და კეთილშობლურადაც სჩანდა ქვეყნის თვალში.

ყველა ეს შტატების პრეზინდენტის, ვუდრო ვილსონის უნარისა და მეცადინეობით მოხდა.

ამ შემთხვევაში ვილსონი ხელმძღვანელებდა, იმ აზრით, რომელიც თავის დროზედ გერმანიის „რკინის კანცლერმა“ ბისმარკმა პატარა რუმინეთს ურჩია: „როცა ევროპაში დიდი ამბები ხდება, შენ ნუ ჩაერევი და შემდეგს მოუცადე, ხიდან ნაყოფის მოწყვეტას ნუ ეცდები, დე ნაყოფი მომწიფდეს, მაშინ იგი თავად ჩამოვარდება და, მიწიდან შენც ადვილად აიღებო“.

ევროპის ბაღში ქარიშხალი ატყდა. ხეხილები ილეწება, ნაყოფი ძირს თავის თავად სცვივა და ამერიკამ უმალ ნაყოფს დაუწყო კრება.

დეპეშამ ცნობა მოგვიტანა, რომ ამერიკის გამამდიდრებელი ვუდრო ვილსონი არჩევნებზე გაუშავებიათ და მის მაგივრად აურჩევიათ იუზა.

ეს არც გასაკვირველია; ჯერ კიდევ პრეზიდენტის არჩევნები შორს იყო, რომ შტატებში ვილსონისადმი დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი; თვით მოკავშირეთა მომხრეებს არ მოსწონდათ მისი ვაჭრული პოლიტიკა და ომში ჩარევას მოითხოვდნენ.

მათ უნდოდათ, რომ ამერიკას ახალი ტერიტორიალური წარმატება ენახა და მოკავშირეთაგან დახმარებისათვის გერმანელთა ახალი შენები მიეღო.

მაგრამ შორს მჭვრეტელმა ვილსონმა კარგად იცოდა, რომ ამ ომში ეკონომიურად გამარჯვებულნი უფრო დასუსტდებიან და, როგორც ნამდვილ ამერიკელს იანკის სათუო საქმეში მეპაიეთ შესვლა და რისკის გაწევა არა სურდა.

იუზამ იმიტომ მიიღო ხმის უმეტესობა, რომ მისი პიროვნება ომით გატაცებულ ექსცენტრიკულ ამერიკელების მოთხოვნილებას უფრო შეეფერება, ვიდრე „სიტყვის ლექსია“ ვილსონის და პირველში ხედავენ „უფრო მომქმედ და უფრო გაბედულ პიროვნებას“.

ვნახოთ რას მოუტანს ეს უფრო გაბედული პიროვნება“ ფრიად გაბედულ ევროპასა“ და თავის სამშობლოს.

გატოხ კობახიძე.

## ალბომში.

I.

„შვებას ვერ გიძღვნი, რადგანც არა მაქვს,
სევდა რომ გიძღვნა რაღა ძღვენია—
აჰა მიიღე გრძნობა სპეტაკი,
რადგანაც მხოლოდ ეს დამრჩენია!“
ოთხი წლის წინად გულის სიღრმიდან
მე ეგ სიტყვები ამოვიწერე,
ზედ დავაფრქვიე ვარდის ფერ ქაღალდს—
შენს თეთრ ალბომში კრძალვით ჩავსწერე.
და მაშინ აბა რას ვაფიქრებდი
დღეს ეს საუნჯე ჩამიქრებოდა,
გრძნობით აღსავსე ჩემი არსება
უგრძნობელ ლეშად გარდიქმნებოდა!

II.

გაივლის დრო და სულს აღშფოთებულს
ყოფნას მოსტაცებს სიკვდილის ცელი,
ქვეყნად მოვლენილ გმირთა სიაში
ამოიშლება ჩემი სახელი;
და მშობელთაგან დაუტირელი
შორს გამეთხრება შავი საფლავი,
სხვის სალოც ხატად გადაიქცევა
მე რომ ვეტრფოდი იგი ვარსკვლავი.
მაგრამ ჩემს ტანჯვით დაბურულ სახელს
სრულად ვერ მოსპობს სიკვდილის ცელი—
შენს ალბომს მაინც ვემახსოვრები—
იქ ინახება ჩემი სახელი.

ხ. ურუშაძე.

თბილისი, 19 ოქტომბერი.

## ახალი ამბავი.

✦ მომხმარებელმა საზ. „კოოპერაციამ“ უკვე მიიღო ასი ფუთი კარგი ღირსების საპონი რომლის გაყიდვას ამ დღეებში შეუდგებიან, საპონი მიეცემა მხოლოდ წევრებს სასოგადოებისას.

✦ 10 ნოემბრიდან ქუთაისში განახლდება იასონ გაბილაიას ჟურნალის, „კოოპერაციის“ გამოცემა,

✦ ქუთაისის მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტის სახელზე მოვიდა 4 ვაგონი შაბიამანი, რომ ეს შაბიამანი არ ჩაიგდოს ხელში კერძო ვაჭრებმა და არ გააძვიროს მისი ფასი, მომხ. საზ. „რეგულიატორის“ გამგე შუამდგომლობს ხსენებული კომიტეტის წინაშე, რათა ეს შაბიამანი დაეთმოს საზ. „რეგულიატორს“ ქუთ. გუბ. მცხოვრებთათვის გასანაწილებლად.

✦ ქალაქის სასანიტარო ექიმმა გუშინ მრავალ საყასპოებში აღმოაჩინა, სასაკლაოს ბეითალის მიერ შეუმოწმებელი, ბეჭედ დაუკრავი, კაკლებიანი ღორის ხორცი, ამის გამო ხსენებული ექიმი წინადადებით მიმართავს, რომ მიაქციოს ფხიზელი ყურადღება ამ გარემოებას და ამიერიდან არ გამოუშვას ბაზარზე ასეთი საეჭვო ღირსების ღორის ხორცი.

✦ ვინაიდან რიონის გაღმა ნაპირზე მდებარე ეგნატე ნარსიას ცხენების სამწყვდევი თავლა აბინძურებს იქაურობას, ამის გამო ქალაქის სასანიტრო ექიმი სთხოვს ადგილობრივ პოლიციის მმართველს, მოახდინოს შესაფერი განკარგულება, რათა ხსენებული ცხენების სამწყვდევი თავლა ორ დღეში იქნას დაკეტილი.

✦ 25 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა სასურსათო და საოჯახო კომისიების სხდომა, რომელზედაც გადასინჯეს არსებული ნიხრი და შეიტანეს ზოგიერთ სანოვაგის ღირებულებაში ცვლილებები. მათი დადგენილებით პური ფურნის 2 ხარისხის უნდა გაიყიდოს ოყა, სამი გირვანქა-30 კაპ., 3 ხარისხის 26 კ., თორნის პური 2 ხარისხის 31 კ., 3 ხარისხის 27 კ. საკანდიტეროებში ბულკი $1/2$ გირვანქიანი უნდა გაიყიდოს 8 კ. მარილის ფასს უნდა დაეკლოს ფუთზე 10 კ., აქულის ბრინჯს უნდა მოემატოს ფუთზე 32 კ., საროჩინისას 30 კ. მაკარონის და ვერმიშელის ფასს ფუთზე უნდა მოემატოს 28 კ., სამარხვო ზეთს ფუთზე 55 კ. ლობიო ფუთი უნდა გაიყიდოს 4 მ., გირვანქა 12 კ., ხახვი 10 კ., ქართოფილი 6 კ., ლახანა 4 კ., ბურაკი 5 კ., სტაფილო 6 კ., ტარანი ცალი უნდა გაიყიდოს 35 კ., თავი შაქარი ფუთი უნდა გაიყიდოს 9 მ. და 10 კ., გირვანქა 23 კ., ფხვნილი ფუთი 7 მ. და 50 კ., გირვანქა 15 კ., ეს დადგენილება უნდა წარედგინოს გუბერნატორს დასამტკიცებლად, რის შემდგომაც შევა ძალაში.

✦ გუშინდელი ცნობით ქალაქში ხოლერით ავათ არავინ გამხდარა, ამ ჟამად თავის ანთ ბინაზე იმყოფებიან 3 ხოლერიანი, რომლებიც დღეიდან ჩაითვლებიან მორჩენილათ. ბარაკში წევს მხოლოდ ერთი ხოლერიანი.

✦ ჩვენ სევრისაგან გვესმის საყვედურები, იმის შესახებ, რომ ადგ. მეთულუხჩეები თურმე განაპირა უბნებში მცხოვრებთ უწყალოთ სტოვებენ, მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ნიხრი ცოტა აქვს დაწესებული გამგეობასო. საჭიროა ამას ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს.

✦ გუშინ ქიმიურ ლაბორატორიის გამგემ დაათვალიერა საძეხვეები, რომლებშიაც აღმოაჩინა ბევრი უვარგისი ძეხვები. ბევრი მეძეხვე თურმე ძეხვს კამეჩის ხორცისაგან აკეთებს, არ ყოფილა მრავალ მათგანში სისუფთავე დაცული და სხვა. ამის გამო ლაბორატორიის გამგემ რამდენიმე ძეხვის ნიმუში გაგზავნა ლაბორატორიაში ანალიზისათვის.

✦ გადმოხვეწილთა რიცხვი კავკასიის ფრონტიდან უდრის 366,992 მათ შორის მამაკაცებია 28 პროც. დედაკაცები 35 პროც. და ბავშვები 37 პროც.

✦ 25 ოქტომბერს, ბალახვანის ქუჩაზე, ადგ. მცხოვრებ კ. წულუკიძის და მეეტლე გ. ტერ-გაბრიელოვის შორის გაიმართა ჩხუბი, ეს რა იხილეს სხვა მეეტლეებმა მიცვივდენ ტერ-გაბრიელოვის მისაშველებლად. წულუკიძემ დასჭრა ერთი მეეტლეთაგანი დ. ბერუაშვილი.

✦ ორპირის ქუჩაზე 25 ოქტომბერს, დაიწვა სპ. ჯავახაძის სახლი, ზარალი 3000 მანეთამდეა. სახლი დაზღვეული არ ყოფილა

✦ შაბათს, 29 ოქტომბერს ადგილობრივ დრამ. დასის მიერ, ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება, ე ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული 4 მოქმედებიანი დრამა „ქრისტინე“.

### სოფლად და ქალაქად.

— სოფ. ფასიეთში (საჩხერეს მხარე) ქ. აბდუშელიშვილს ქურდებმა მოჰპარეს ცხენი 300 მან. ღირებული და მიიმალენ.

— ს. ეკში. გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოება „სინათლე“.

— სოფ. ბჟინევში (საჩხერეს მხარე) მძვინვარებს ყელჭირვება.

— სოფ. კულაშში ამ ახლო მომავალში გაიხსნება სასულიერო სასწავლებელი სხვადასხვა განყოფილებით, ნებართვა უკვე მიღებულია.

— ბათომში გაჩენილა ყვავილი.

— სოფელ კულის კარში (ზუგდიდის მაზრა) 14 ოქტომბერს ნესტორ ბიგვავამ და დოროთე შურღაიამ თავს დაესხენ ილია კანკიას და წაართვეს სამი მანეთი. ფული და ნივთები. პოლიციამ ერთი მათგანი ნ. ბიგვავა დააპატიმრა ხოლო მეორემ კი თავს უშველა.

— სოფელ ხიბულაში (ზუგდიდის მაზ. რა) 17 ოქტომბერს 3 შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ სტეფანე გაგუას და წაართვეს მას 40 მანეთი ფულათ და აგრეთვე სხვადასხვა ნივთები და მიიმალენ.

— სოფელ კულისკარში (ზუგ. მაზ). 14 ოქტომბერს, თევდორე კაკაჩიას თავს დაესხენ ორი შეიარაღებული ავაზაკები და წაართვეს 100 მანეთი.

## სამგლოვიარო წერილი.

დიდათ დაგვამწუხრა ძვირფასი მამულიშვილის დაკარგვამ. თედორე დავითის ძე ჟორდანია როგორც ისტორიული მკვლევარი, როგორც პედაგოგი და მასთანვე სამშობლოს ერთგული მოყვარული დიდ დანაკლისათ ჩასათვლელია ჩვენი ერისათვის.

ერმალოზ დიმიტრის ძე ჯვანიაძე.

## თევდორე ჟორდანიას ხსოვნას.

ჩვენი ტურფა ქვეყანა სხვა და სხვა სუნნელოვანი ყვავილებისაგან შეკონილ თაიგულსა ჰგავს ერთიჯერის ყვავილი რაც

---

$Cr(HO)_2$. აქედან ცხადია, რომ ქრომი ლითონებსა და მეტალოიდებს შორის მდებარეობს, ე. ი. ერთსადაიმავე დროს სუსტი ლითონიც არის და სუსტი მეტალოიდიც.

მანგანეუმის უდარესი შეერთება ჟანგეედასთან (უდარესი ჟანგი, რომლის ფორმულაც $MnO$-ა), წყალთან შეერთებული, ერთობ სუსტ სიტუტეს წარმოშობს; $Mn_2O_3$ კიდევ უფრო სუსტ სიტუტეს წარმოშობს: $MnO_3$, წყალთან შეერთებული, სუსტ სიმჟავეს წარმოშობს, $Mn_2O_7$-კი— მაგარ სიმჟავეს წარმოშობს ($Mn_2O_7+H_2O=2(HMnO_4)$. მაშასადამე, მანგანეუმს ლითონის თვისებანიც აქვს და მეტალოიდის თვისებანიც.

რკინის ჟანგი ($FeO$) და რკინის ზეჟანგი ($Fe_2O_3$) წარმოშობენ წყალთან ერთად სიტუტეებს $Fe(OH)_2$ და $Fe(OH)_3$. იმავე დროს პირველი სიტუტე—უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე. ამას გარდა რკინა წარმოშობს ერთობ უწონასწორო რკინის სიმჟავეს ($H_2FeO_4$), რომელიც, როგორც თავისუფალი, ვერც კი მიიღეს (მიიღეს მხოლოდ ამ სიმჟავის მარილი: $K_2FeO_4$, $CaFeO_4$ და სხ. მაშასადამე, რკინა ერთსა და იმავე დროს ლითონიც არის და მეტალოიდიც, თუმცა, რასაკვირველია, მასში ლითონის თვისებანი აღემატებიან. და, თუმცა ამ ელემენტის თვისებანი, როგორც მეტალოიდისა (მაგალითად, სიმჟავის წარმომშობი თვისება), უფრო სუსტია, ვიდრე წინამორბედთა (მანგანეუმისა და ქრომის), მაგრამ ზოგადი კანონის მცირეოდენი დარღვევა ხშირია ბუნებაში და საერთო პრინციპს არა სცვლის.

კობალტი წარმოშობს სიტუტეს ($CoO+H_2O=Co(HO)_2$, $Co_2O_3$ კი, წყალს რომ შეიერთებს, გადიქცევა $Co(HO)_3$). ორივე ეს შედგენილობა სიტუტეა, მაგრამ პირველი უფრო ძლიერია. მცირეოდნად აქაც დარღვეულია ზოგადი კანონი.

ნიკკელი წარმოშობს სიტუტეს ($NiO+H_2O=Ni(HO)_2$. ნიკელის ზეჟანგი ($Ni_2O_3$) სიტუტეს არ წარმოშობს, ე. ი. $Ni(OH)_3$, სიტუტე არ არის.

სპილენძი წარმოშობს ქვეშ ჟანგს, ($Cu_2O$) და სპილენძის ჟანგს ($CuO$). უკანასკნელი წყალთან შერევით გადიქცევა სიტუტედ.

ცინკის სიმჟავის ($ZnO$) და წყლის შეერთებისაგან წარმოსდგება ისეთი შედგენილობა $Zn(OH)_2$, რომელსაც უფრო სიტუტის თვისება აქვს, ვიდრე სიმჟავის.

გერმანის ქვეშ-ჟანგი, ($GeO$), წყალთან შეერთებული, არც სიმჟავეა და არც სიტუტე; გერმანის ჟანგი ($GeO_2$) კი, წყალთან შეერთებული, წარმოშობს სიტუტეს.

თაგვის მარილი კი ნამდვილი მეტალოიდია და მისი ჟანგი, წყალთან შეერთებული, წარმოშობს სიმჟავეებს: $As_2O_5+2H_2O=(2H_3AsO_4)$, $As_2O_5+2H_2O=H_4As_2O_7$, $As_2O_5+H_2O=2(HAsO_3)$

რაც შეეხება სელენს, მისი ჟანგისაგან ($SeO_2$) წარმოიშობა სიმჟავე $H_2SeO_3$ და უკანასკნელისაგან სიმჟავე $H_2SeO_4$. მაშასადამე, სელენი მეტალოიდია. თუმცა იმავე დროს ამ ელემენტს ლითონის ზოგიერთი თვისებაც შერჩენია დასასრულ ბრომი ძლიერი ენერგიული გალოიდია, რომელიც წყალდედასთან ერთად ქმნის ენერგიულ შედგენილობას—წყალდედის ბრომს ($HBr$)—რომელიც, წყალში როცა გახსნილია, ძლიერ სიმჟავეს წარმადგენს.

მაშასადამე, ამ მწკრივის პირველი ელემენტები წარმოშობენ ძლიერ სიტუტეებს, უკანასკნელი ელემენტები კი ძლიერ სიმჟავეებს. პირველი ელემენტები ლითონები არიან, უკანასკნელი ელემენტები მეტალოდიები (ბრომი გალოდია), მწკრივში თანდათან სუსტდება ლითონის სიტუტის მქნელი ძალი, შუაგული ელემენტები ერთსადაიმავე დროს სუსტი ლითონები და სუსტი მეტალოიდები არიან; მწკრივის ბოლოს თანდათან მატულობს მეტალოიდის სიმჟავის მქნელი ძალი მწკრივის ბოლოში კი ენერგიული გალიოდია, რომელიც წყალდედასთან ერთად და წყლის საშუალობით ძლიერ სიმჟავესს ქმნის.

მაშასადამე, აქაც იმავე თანდათანობას ვამჩნევთ: მწკრივში ქიმიური თვისებანი თანდათანობით იცვლებიან და ამ ცვალებაში რიგი და წესია. მწკრივის უკიდურესი წვერები ერთმანეთის წინაამდეგისა და ენერგიული ელემენტებისაგან შესდგებიან. წვერების შორის მდებარე ელემენტებს კი თანდათან აკლდებათ ენერგია. ელემენტები თანდათან შორდებიან პირველი წვერის ელემენტებსა და თანდათანავე უახლოვდებიან მეორე წვერის ელემენტებს.

გასილ წერეთელი.

შემდეგი იქნება).

გინდა, რომ სუნნელოვანი იყოს, მარტო მისგან შეკონილ თაიგულს არმონიული სუნი მაინც არ აქვს. ვარდი რომ ვარდია, არც ის ვარგა მარტოკა თუ მას ამხანაგათ სხვა დარიგის ყვავილებიც არა ჰყავს. ესევე ითქმის ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ წრეზედაც. ჩვენ პატარა ქვეყანას, რომ ყველა დარგის მეცნიერებიდან თავის წარმომადგენელი არ ჰყავდეს ის ლაზათი არ ექნება, რაც დღეს აქვს. ღვთის მადლით ჩვენ მგოსნებიცა გვყავს, ბელეტრისტებიც, კრიტიკოსებიც, ღვთისმეტყველნიც, ინჟინერ ქიმიკოსებიც და ისტორიკო—არხეოლოგებიც. ყველა ესენი ერთ მჭიდროდ შეკონილ თაიგულს წარმოადგენენ. მხოლოდ, საუბედუროდ ჩვენდა, ეს ჩვენი ტურფა ქვეყნის ყვავილთა თაიგული, თანდათან ჭკნება და საუკეთესო წევრები ხელიდან ეცლება. ულმობელმა სიკვდილმა ამ ყვავილთა კონიდან ეხლა კიდევ მოგვტაცა ერთი დამსახურებული მისი წევრი, ჩვენი საყვარელი არხეოლოგი თევდორე ჟორდანია. განსვენებულმა თევდორე ჟორდანიამ თავის საუკეთესო წლები თბილისის სასულიერო სემინარიას შეალია.. ბევრს ქართველს ახალგაზდას აუხილა მან გონების თვალი და ჩაუნერგა გულში სამშობლოს სიყვარული. ჩვენი ეხლანდელი სამღვდელოების საუკეთესო წევრნი მის დროს არიან აღზრდილნი და მათ თუ რომ ქართველური ნიშან წყალი აცხიათ ეს სულ მისი მადლიანი ენის წყალობით არის. თბილისის სემინარიას მოშორდა თუ არა ჩვენი საყვარელი თედო (ასე ეძახდნენ მას მისი მოწაფეები) გაქრა იქ ქართველური სული, რომელიც ამოძრავებდა ჩვენს ახალგაზდობას. ყველაზე უდიდესი ღვაწლი კი განსვენებულისა მის ისტორიულ „ქრონიკებშია“ ჩამარხული. ამ დიად შრომას მომავალი ქართველობა შესაფერისათ დააფასებს.

ნეტარ არს იგი, რომ კეთილი საქმეები მიუძღვის წინ, საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.—

მ. ბუაჩიძე.

## ხოლერა.

როგორც ვიცით ხოლერა პირველად ქ. თფილისში გაჩდა, თფილისიდან ქუთაისში, ქუთაისიდან ზოგიერთ დაბა-სოფლებში. ქალაქელებმა როგორც იქმნა ექიმთა დარიგებით მოსპეს ეს სენი, მაგრამ კიდო დიდი სიფრთხილე მართებს ადამიანს რომ უვნებლად გადურჩეს მას. ქალაქებში რამდენჯერმე მიაკრეს განცხადებები. და ყველა განცხადებაში სხვა და სხვანაირი დარიგება იყო, თუ რა ნაირად უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ გადაირჩინოს თავი ხოლერისაგან. დაბებში კი იშვიათად შეხვდებით ამ ნაირ განცხადებებს და არის ასეთი სოფლები, სადაც ხოლერის შესახებ არაფერი არ გაუგონიათ და თუ ვინმემ სადმე გაიგო, ყურადღებასაც არ აქცევს, საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და სოფლებმა მღვდლებისა და მასწავლებლების საშვალებით გააცნონ მცხოვრებნი ხოლერას და მის წინააღმდეგ საბრძოლ საშვალებებს.

ელ—ია.

## ქართული პრესა

მკითხველებმა იციან მაჰმადიანთ ქართველების მდგომარეობა. იციან რა უბედურება დაატყდა აჭარას და ლაზისტანს, რომელიც იქცენ ბრძოლის ველათ. ხალხი გაწყდა, განადგურდა. დაჰკარგა ბევრმა არამც თუ ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება მამაპაპეული მიწა წყალი, არამედ სიცოცხლეც. ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენ ძმებს ქართველ მაჰმადიანებს აჭარლებს და ჭანებს ხელმოკლე ქართველობამ შეძლებისა დაგვარად დიდი ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა. მაგრამ აჭარა ლაზისტანის გაჭირვება იმოდენათ დიდია, რომ ისინი კიდევ დიდს დახმარებას მოითხოვენ. ამის გამო „საქართველოში“ ვკითხულობთ:

„25 ღვინობისთვეს ქართულ საქველმოქ. საზოგ. მთავარ გამგეობას კრება ჰქონდა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი აკაკი ჩხენკელი და ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი კრებამ თათბირი იქონია ქართველ მაჰმადიანთა უმწეო მდგომარეობის შესახებ. დეპუტატმა ჩხენკელმა, რომელმაც ამას წინად შემოიარა არტაანისა, ართვინისა და ბათომის ოლქები, ამ კრებას გააცნო იქაურ მაჰმადიან ქართველების მდგომარეობა, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებისა, რომელნიც ოსმალეთის რაზმების შემოსევის დროს იძულებული გახდნენ თავიანთი სახლ-კარი დაეტოვებინათ. განსაკუთრებით აღნიშნულ იქმნა 4 გარემოება:

1) მიუხედავად სრული უდანაშაულობის გამორკვევისა, ქართველ მაჰმადიანებს ისევ აძლევენ სამხედრო პასუხის გებაში; 2) მიმალული ოჯახები უკან რომ ბრუნდებიან, თავიანთ მიწა წყალს დაბრუნება უძნელდებათ, რადგან ეს მიწა წყალი საზღვარიანა სხვებს, განსაკუთრებით ეცხო ტომის ხალხს დაუმზერიათ; 3) ყველა ქართველი მაჰმადიანი, განსაკუთრებით-კი უკანვე დაბრუნებულნი, უკიდურეს ქონებრივ ხიდატაკეს განიცდიან; 4) ბევრს გაქცეულს უკანვე დაბრუნების ეშინია, თუმცა მათ მთავრობა სრულებით არ სდევნის და არც პასუხის გებაში იქნებიან მიცემული, როგორც უდანაშაულო ხალხი. კრებაზე ხურვილი გამოითქვა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ საგანგებო დეპუტაცია აირჩიოს, რომელიც დიდის მთავრის, მეფის ნაცვლის, წინაშე უნდა წარსდგეს და შემდეგი შუამდგომლობა აღძრას; ა) მიუხედავად იმისა, რომ მეფის ნაცვალმა თავის დროზე ბრძანა, რომ ბათომის ოლქის ქართველი მაჰმადიანები სახელმწიფოს მოღალატეებად არ ჩაითვლებიან და სამხედრო სამართალში აღარ მიეცემიანო, ბევრს მათგანს მაინც მოელის სამხედრო სასამართლოს წინაშე პასუხის გება, მეფის ნაცვალმა ახსნას მათ უსაშინელესი ბრალდება სახელმწიფოს ღალატისა და სამხედრო სასამართლოს წინაშე პასუხის მგებლობიდან გაანთავისუფლოს; თუ ვისმე მათგანს რაიმე ბრალი ედება, პასუხი აგოს სამოქალაქო სასამართლოს წინაშე. ბ) უკანვე დაბრუნებულებს დაუბრუნდეთ თავიანთი სახლკარი და ადგილ მამული, ხოლო სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ, მათი ადგილ-მამული მოსავლელად იჯარით გადაეცეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. გ) უკან დაბრუნებულებს მიეცეთ იმდენი დახმარება ფულად თუ საქონლით, რომ თავიანთი დაქცეული ოჯახის აღდგენა შეეძლოთ და დ) იმ გარდახვეწილებს, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზის გამო ვერ ბრუნდებიან, ნება მიეცეთ დაუბრუნდნენ თავიანთ სოფელს.

ზემო აღნიშნულ მუხლების შესახებ დეპუტატი ჩხენკელი ცალკე დამოუკიდებლად, აპირებს შუამდგომლობის აღძვრას მეფის ნაცვლის წინაშე, როცა მას აუდიენციას დაუნიშნავენ.“

## ახალი ხანა ქალთა ცხოვრებაში.

დღევანდელი არა ნორმალურ ცხოვრებაში ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე და სამრეწველო დარგებში გასოცარმა თავგამოდებულმა და ენერგიულმა მოქმედებამ, მათმა ძლიერმა ფიზიკურმა, ზნეობრივმა და გონებრივმა თვისებების მოულოდნელმა გამოჩენამ საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია.

დიდი ადამიანების ფილოსოფიური მტკიცება, რომ ქალი „არარაობაა, ის ბოროტია, მაცდური, მხოლოდ კაცობრიობის გასამრავლებლათ მოვლენილიო“ და სხვა ასეთი ყალბი შეხედულებანი, დღევანდელმა ქალის პრაქტიკულმა საქმიანობამ ყველასათვის ცხად-ჰყო ქალის პოლიტიკურ და მოქალაქობრივ ასპარეზზე გამოსვლამ და ამ ნიადაგზე მომზადებულმა შეგნებულმა მოქმედებამ თვით ურწმუნო თომანიც კი დააჯერა, რომ მას არა ნაკლებ კაცისა შეძლებია აიტანოს საერთო უბედურება და აუარებელი შრომა და ენერგია დახარჯოს ქვეყნის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ.

ამიტომ ის პირებიც კი, რომელთაც ქალთა განთავისუფლება მარტოოდენ აგიტაციის ნაყოფათ მიაჩდათ ამ მხრით მათს მოძრაობას დიდ საფრთხეთ თვლიდენ, დღეს ხმა-მაღლა გაიძახიან „ქალთა უფლებებზე.“ გამოჩენილი ბიუროკრატი ასკვიტი, რომელიც ცნობილია, როგორც დიდი მოწინააღმდეგე სუფრაჟისტ ქალებისა, 14 აგვისტოს საყოველთაოთ აცხადებს, რომ თავისი ხმაც მიუმატონ იმ საერთო მოძრაობის ხმას, რომლის შინაარსი „ქალთა უფლების მოპოვებაა.“ გარვინმა, ცნობილ კონსერვატიულ ორგანოს გამომცემელმა, ყოფილმა ანტისუფრაჟისტმა 13 აგვისტოს თავის ორგანოში დაბეჭდა: ერთი ყველაზე დიდი კითხვა დღეს არის „ქალთა უფლება.“ ქალებმა ეს დაიმსახურეს. წინეთ ჩვენ ვიყავით ამის წინააღმდეგი გვეგონა ქალს არასფრის გაკეთება არ შეეძლო საზოგადოებრივ და სახელმწიფო ასპარეზზე, მაგრამ ჩვენ შევცდით: ქალები დღეს საუცხოვოთ ასრულებენ, როგორც ქალის ისე კაცის საქმეებს და ამას გარდა დიდ დახმარებას უწევენ საზოგადოებას და სახელმწიფოს“ო. მართლაც თუ დღეს მამა-კაცი ბრძოლის ველზეა გასული, მის საქმეებს შინ დარჩენილი დედა, ცოლი და დები ასრულებენ. ქალი დღეს ხნავს, თესავს, მკის, ფქვავს... ბევრ ადგილას მან კიდეც გაასწრო კაცს, მან ახალი სახნისიც იყიდა, ადგილიც შეიძინა. ის ყველგან გხვდებათ: სამხედრო სამრეწველო დარგებში, კანცელარიებში, საავათმყოფოებში, ლაზარეთებში, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინის გზებზე და ყოველგვარ სახელმწიფო დაწესებულებებში. ქალთა ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, ძველი ტრადიციული შეხედულობა „ეს ქალის საქმეა“ო გაქრა. ქალმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის არა ნაკლები ჭკვიანია კაცზე, რომ მას თავისუფლათ შეუძლია აკეთოს მამა-კაცის საქმეები და ამ მხრით მამას, ძმას და ქმარს მუდამ გვერდში უდგეს. და დაიკავა რა ქალმა მამაკაცის თანამდებობა, სამართლიანათ თხოულობს შესაფერ იურიდიულ უფლებებსაც. ეს კითხვა უკვე ფილოსოფიურ პოლიტიკურ-ეთიური კითხვა აღარ არის ის პრაქტიკული პრობლემაა, ქალის აუტანელ მდგომარეობიდან გამოწვეული. ამას სახელმწიფო კარგად გრძნობს. ის აღარ უცდის მოსალოდნელ დიდ მოძრაობას და აქიდანვე აკმაყოფილებს მას.

ამნაირათ ათასი წლობით დამონავებულს ხელფეხ შეკრულს კაცობრიობის მეორე ნახევარს, საუკუნეებით მიხურული საკანონმდებლო დაწესებულებანი თანდათან ეღება, ის თანდათან თავისუფლდება და მგონი არც ისე შორსაა დრო საერთო გამარჯვების დღესასწაულის...

იროდიონ ხანთაძე.

## რუსეთი.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატების იმ სიტყვაზე უნდა შემოიღონ ცენზურა, რომელიც სასურსათო საქმეს სწორედ არ გააშუქებს. გაზეთების შეკითხვაზე პროტოპოპოვს უთქვამს, რომ ცენზურა სამხედრო მართებლობას შემოაქვსო

— —

„რუსკი ვედომოსტის“ სიტყვით ტამბოვში ფქვილის უქონლობის გამო ათი კოოპერატიული ფურნე უნდა დაიკეტოს.

— —

იმავე გაზეთის სიტყვით, სტეპაშკინის, ბორელის და ბოგოსლოვსკის დიდი წისქვილები ხორბლის უქონლობის გამო დაიკეტა. წისქვილის პატრონები საქმის გამოსარკვევად პეტროგრადში წასულან.

— —

„დენის“ სიტყვით ომში დაჭრილი და დასახიჩრებული ოფიცრებისთვის, რომელნიც იძულებულნი იყვნენ სამხედრო სამსახური მიეტოვებინათ, ბევრ ადგილს იმგვარ კურსები დაარსდება, რომ ეს აფიცრები ბანკებში, ქალაქის თვითმართველობაში და საერობო დაწესებულებაში სამსახურისათვის გამოდგნენ.

— —

„რუსკოე სლოვოში“ ბევრ ქალაქიდან იწერებიან შეშის და ნავთის კრიზისს: ნიჟნი-ნოვგოროდში ნავთი არ ყოფილა; როსტოვში ნახშირის ნაკლებობაა; სმოლენსში შეშის უშოვნელობაა; ნოვოჩერკასკში ნავთის უშონლობის გამო ქალაქის დაშორებულ ქუჩებში ლამპებს აღარ ანთებენ. ღარიბი ხალხი ძრიელ შეწუხებულია. სანთელი სულ არ იშოვება.

— —

„რუსკი ვედომ.“ სწერენ პალტავიდან; მანუფაქტურის მოვაჭრეთ გუბერნატორის ბძანებით კომიტეტი აურჩევიათ, რომ ხალხს ფართლის ყიდვაში შეღავათი მიეცეს. ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია სახალხო ბანკის საშვალებით 200,000 ამერიკული ფეხსაცმელი შეიძინოს. 50 ათასი მანეთია ბეთ გაგზავნილი

— —

ვოლოგდიდან ამავე გაზეთს სწერენ: ეს ქალაქი მთელ რუსეთს ერბოს აწვდიდა და დღეს რადგან ერბოს მკეთებელნი ომში არიან გაწვეულნი ერბოს კეთება ძლიერ შესუსტდა. სამეურნეო საზოგადოებამ საჩქაროთ კურსები დაარსა, სადაც მსურველთ ერბოს კეთებას ასწავლიან.

— —

ეჩმიაძინში 20 ამ თვეს ისეთი ძლიერი მიწისძვრა მომხდარა, რომ ეკლესიებში ზარები თავის თავად დარეკილა. მცხოვრებლები ქუჩაში გამოცვენილან, ბევრი სახლის კედელი გაბზარულა და ძველი ქოხები დანგრეულა

— —

„რეჩის“ სიტყვით, უმაღლესი ბრძანების თანახმად სახელმწიფო სათათბირო 1 გიორგობისთვეს უნდა გაიხსნას. რაიმე ცვლილებებს უცდიან.

— —

მოსკოვის მიტროპოლიტმა მაკარიმ ხალხს მწყემსური სიტყვით მიმართა. სურსათის დიდი ნაკლულების დროს იგი მდიდართ აქეზებს ღარიბთ შეეწიონ, რომ ამგვარმა მდგომარეობამ რაიმე ღელვა და უკუღმართობა არ გამოიწვიოს; ღარიბთ კი იგივე სიტყვა ურჩევს ზედგადმოსული განცდა უსაყვედუროდ აიტანონ.

## უცხოეთი.

— —

ჩრდილო ამერიკის შტატების პრეზიდენტად იუზა იქნა არჩეული (ვ. დ. ს)

— —

ათინიდამ, იტყობინებიან რომ დაღუპული გემიდან მსხვერპლთ დამარხვას პირეიში დიდი აურზაური მოუხდენია: ყველა რკინისგზის მოსამსახურეთ, ტრამვაის, სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეთ, აგრეთვე ყველა ქარხნების მუშათ საქმე მიუტოვებიათ და ქუჩებზე და მოედნებზე შეკრებილან. წირვის დროს სობოროში მოკავშირეთა სახელმწიფოების ადმირალები და სამხედრო აგენტები დასწრებიან. წირვის შემდეგ მიცვალებულთა კუბოებს 20,000 მუშა მისდევდა. საფლავზე სიტყვები იყო წარმოთქმული, რომელსაც ხალხი „ძირს ნემცები“, „ჩამოაგდეთ ავაზაკები“, „გაუმარჯოს მოკავშირეთო“ ყვირილით ებებოდენ.

— —

ინგლისურ გაზეთებში აწერილია, თუ რა დიდი შედეგი ექნება პა დე-კალეს ქვეშ გვირაბის დამთავრებას. განსაკუთრებულმა პარლამენტარულმა კომისიამ შეამოწმა მუშაობა და დიდათ მოიწონა გვირაბი მალე დამთავრდებაო გვირაბის მუშაობა შეჩერებული იყო, მაგრამ ომის დაწყებამ დააჩქარა საქმე და მისი დიდი საჭიროება ყველამ შეიგნო, ჩამეტანავად წყალქვეშა ნავების და ჰაეროპლანების საფრთხის თავიდან ასაცდენად. ეს გვირაბი 16,000, გირვანქა სტერლინგი ჯდება

— —

როდესაც ინგლისი გაზეთებმა ამ გვირაბზე დაიწყეს ბაასი, გერმანიაში გაზეთებმა პასუხი მისცეს მათ, რომ ბოსფორის ქვეშ გვირაბის გაყვანის საკითხი აღძრეს. ამ გვირაბამ უნდა შეაერთოს კონსტანტინოპოლი გაიდარ-პაშას. მათი სიტყვით, თუ ეს პროექტები შესრულდა, [illegible] ზე და იქიდან ინდოეთში [illegible] კაცი, რომ ვაგონიდან გამოსვლა არ დასჭირდება,

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — „ |
| | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | - 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 „ |

НОВОЕ ПРИБЫЛЬНОЕ ДѢЛО!
ВНИМАНІЮ ЛИЦЪ,
ищущихъ побочнаго заработка
ПОВСЮДУ НУЖНЫ
лица обоегопола

для переписки адресовъ торговымъ фирмамъ по 3 р за 100 шт. РАБОТА ПОСТОЯННАЯ Обычныя занятія и разстояніе не препятствуютъ, т. к это дѣло требуетъ въ день 1/2 часа времени, и даетъ до 100 р. и болѣе въ мѣсяцъ побочнаго заработка. Условія высылаются по полученіи 20 коп. почтовими марками на отвѣтъ. Обращатьсся письм по адресу: Борисоглѣбскъ, Там. губ. Почтовая №77, А. И. Иванову.

5—

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ

## ავი სენი.

უღველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი. ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემს და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ჩიყვარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)